REDEMOS

RECONFIGURING EU DEMOCRACY SUPPORT. TOWARDS A SUSTAINED DEMOS IN THE EU'S EASTERN NEIGHBOURHOOD

პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა 2

სტრატეგიული სიცხადე და მიზანდასახულობა: რუსეთის შეკავების ქმედებები ევროპულ სამეზობლოში

იგორ გრეცკიი

2025 წლის მაისი

Funded by the European Union

The REDEMOS project has received funding from the European Union's Horizon Europe research and innovation programme under grant agreement No 101061738. The Associated Partner University of Surrey has received funding from UK Research and Innovation (UKRI) under the UK government's Horizon Europe funding guarantee under grant number 10040721. The Associated Partner University of St. Gallen has received funding from the Swiss State Secretariat for Education, Research and Innovation (SERI). Views and opinions expressed are, however, those of the author(s) only and do not necessarily reflect those of the European Union, UKRI and SERI. Neither the European Union nor UKRI or SERI can be held responsible for them.

ზოგადი მიმოხილვა

რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი საბჭოთა კავშირის დაშლას ყოველთვის აღიქვამდა არა როგორც სრულფასოვანი დემოკრატიზაციისკენ სწრაფვის პროცესის დაწყების შესაძლებლობას, არამედ – როგორც სსრკ-ის დამარცხებას და, შესაბამისად, დასავლეთის გამარჯვებას ცივ ომში. ზოგადად, კრემლი მეზობელ მცირე და საშუალო სახელმწიფოებს განიხილავს, როგორც დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ მყოფ უცილობლად დამოკიდებულ ობიექტებს, ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო კი განიხილება, როგორც რუსეთის „განსაკუთრებული პასუხისმგებლობის“ გამორჩეული სივრცე, რომელსაც, შესაბამისად, დიდი ძალა თავის განუყოფელ კომპონენტად აღიქვამს.

სინამდვილეში, რუსეთი ხელმძღვანელობს ძველი საბჭოთა კონცეფციით — „შეზღუდული სუვერენიტეტი“, ღიად უარყოფს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი საგარეო-პოლიტიკური კურსი. ასეთი მიდგომა სრულად გამოვლინდა საქართველოსა და უკრაინის მიმართ რუსეთის სამხედრო აგრესიაში, ასევე მის ჰიბრიდულ ძირგამომთხრელ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს თითოეული ქვეყნის წინააღმდეგ. მეტიც, კრემლის 2021 წლის 17 დეკემბრის ულტიმატუმი, რომელიც მოითხოვდა დასავლეთისგან, რომ რუსეთისთვის მიეცა უსაფრთხოების სამართლებრივი გარანტიები, მიუთითებს, რომ მისი გეოპოლიტიკური ამბიციები საკმაოდ სცილდება ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ფარგლებს. ასეთ ვითარებაში ევროკავშირის წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ საგარეო პოლიტიკის ადაპტირება საკუთარი უსაფრთხოების გასამტკიცებლად, ასევე დაეხმარონ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებს წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის მცდელობას, შეარყიოს მათი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

ძირითადი დასკვნები

- რუსეთის ძირითადი მიზანი ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან მიდგომაში არის მათი სუვერენიტეტის შერყევა და საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მათ გადაწყვეტილებებზე ეფექტური კონტროლის დამყარება.
- რუსეთის მთავრობის ქმედებები ეფუძნება ვარაუდს, რომ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში იმარჯვებს არა ის, ვისაც აქვს უფრო დიდი ეკონომიკური პოტენციალი და მეტი მშპ ერთ სულ მოსახლეზე, არამედ ის, ვინც საინფორმაციო სივრცეში ირეგს ინიციატივას და წარმატებით ახვევს თავს საკუთარ მსოფლმხედველობას ოპონენტებს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში.
- მოსკოვი უფრო მეტად უჭერს მხარს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს იმ ქვეყნებს, რომლებიც კრემლის მიმართ აშკარა ლოიალობას იჩენენ, არ ეწინააღმდეგებიან რუსეთის გეოპოლიტიკურ დომინირებას და დასავლური სამყაროს წინააღმდეგ ერთიანდებიან. ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციისკენ ღიად მიდრეკილ მთავრობებს კი რუსეთი ცდილობს შეუქმნას მრავალი პრობლემა და შემდგომში, გეოპოლიტიკური დათმობების სანაცვლოდ, მათ წინასწარ მომზადებული გამოსავალი შესთავაზოს.
- იმ ქვეყნებში, სადაც დანერგილია პოლიტიკური კონკურენცია და არსებობს მედიის თავისუფლება, პრორუსული პოლიტიკური პარტიების შექმნით ან დაფინანსებით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შექმნით რუსეთი მიზანმიმართულად ზრდის ზეწოლას დაუმორჩილებელ ელიტებზე, ანტიდასავლური ნარატივების პოპულარიზაციისა და გაძლიერების თვალსაზრისით.
- კრემლი ცდილობს მოიპოვოს საგარეო-პოლიტიკური უპირატესობები ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში მათი პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების სუსტ მხარეთა გათვალისწინებით, ასევე ევროინტეგრაციის იდეის დისკრედიტირებით.
- რუსეთის საგარეო პოლიტიკა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების მიმართ ხასიათდება ძლიერი ინერციით და ნაკლებად სავარაუდოა, რომ არსებითად შეიცვალოს, ყოველ შემთხვევაში, საშუალოვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან ამგვარი საგარეო საქმიანობა ღრმად არის ფესვგადგმული რუსეთის პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციურ სტრუქტურებში, სოციალურ სფეროსა და ეკონომიკურ მოდელში.

როგორი პოლიტიკა უნდა გატარდეს

რეკომენდაციები

- **ევროპა, როგორც უსაფრთხოების გარანტი:** მნიშვნელოვანია გრძელვადიანი საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს როგორც ევროკავშირის სამხედრო-სამრეწველო სექტორს, ასევე ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის მაძიებელ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში მდგრადი უსაფრთხოების ინფრასტრუქტურას. ამავდროულად, მნიშვნელოვანი ფაქტორია ამ ქვეყნების ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის დაჩქარება, ასევე ინვესტიციების გაზრდა ენერგეტიკისა და ელექტროენერგიის მიწოდების ქსელების დივერსიფიკაციაში.
- **ახალი სტრატეგიული მესიჯი:** უკრაინაში რუსეთის შეჭრასთან ერთად სიღრმისეულად შეიცვალა ევროკავშირის მრავალი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის დამოკიდებულება კრემლის მიმართ. რუსეთი, რომელსაც ადრე რთულ პარტნიორს უწოდებდნენ, დღეს გაცილებით რეალისტურად არის შეფასებული და აღიქმება, როგორც ევროპული უსაფრთხოების გრძელვადიანი საფრთხე. ეს ტენდენცია უნდა აისახოს რუსეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ ევროკავშირის განახლებულ ერთობლივ სტრატეგიაში; ამ სტრატეგიამ თავი უნდა აარიდოს თავსმოხვეულ „წითელ ხაზებს“ და დათრგუნოს შიში რუსეთის წინაშე. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ უკრაინაში იარაღის მიწოდება არ დაიტვირთოს მათი ტერიტორიული გამოყენების ხელოვნური შეზღუდვებით. გარდა ამისა, დასავლეთის მთავრობები ნაკლებად მგრძნობიარე უნდა გახდნენ კრემლის ბირთვული შანტაჟის მიმართ. დასავლეთის ყოყმანი და პოზიციის დაუდგენლობა რუსეთის მიმართ კიდევ უფრო აძლიერებს პუტინის ჟინს, გაზარდოს ფსონები.
- **არავითარი „ნაცრისფერი ზონები“ ევროპაში:** ეს პრინციპი უნდა წარმოადგენდეს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს სახელმწიფოების მიმართ გატარებული ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტურ საფუძველს. ამ დღის წესრიგიდან გადახვევა, მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის ხარჯზე კრემლთან კომპრომისული შეთანხმებების მიღწევის იმედით, საბოლოო ჯამში, ევროპის სტრატეგიულ მარცხს გამოიწვევს. ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარანტია, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნები, რომლებიც ესწრაფვიან ევროინტეგრაციას და პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების რეფორმირებაში პროგრესს მიაღწიეს, პირისპირ მარტო არ დარჩნენ რევიზიონისტული რუსეთის საფრთხეების წინაშე.

ნულოვანი ტოლერანტობა რუსული პროპაგანდის მიმართ: ევროკავშირის საინფორმაციო ლანდშაფტში რუსული პროპაგანდის ზეგავლენის აღკვეთის მიზნის მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანია სიფხიზლე; ანალოგიური პრაქტიკა უნდა წახალისდეს ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებშიც. მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და წევრობის კანდიდატების მედიაში რუსული ნარატივების გავრცელების აღსაკვეთად და ეს მხარდაჭერილი უნდა იყოს განათლების სისტემის ყველა დონეზე კრიტიკული აზროვნების და ციფრული უნარების განვითარების მიზნით თანამედროვე პროგრამების დანერგვით. გარდა ამისა, აუცილებელია იმ რუსული მედიასაშუალებების საქმიანობის შესაწყვეტად საჭირო შესაბამისი პროცედურების სრულყოფა, რომლებიც მთელ ევროკავშირში სიძულვილის ენასა და დეზინფორმაციას ავრცელებენ. ისე არ უნდა მოხდეს, რომ კრემლის პროპაგანდისტული ტელეარხები ზოგ ქვეყანაში აიკრძალოს და ზოგ ქვეყანაში კი ჰქონდეს აუდიტორიის შეუზღუდავი წვდომა.

მთლიანი კვლევა – **REDEMOS D7.2**
ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში გარე პრეტენდენტების ნარატივების ნორმები – ხელმისაწვდომია ბმულზე: https://redemos.eu/resources/publications/working-papers/

REDEMOS: REconfiguring EU DEMOcracy Support.
Towards a sustained demos in the EU's Eastern Neighbourhood

REDEMOS- 101061738
HORIZON-CL2-2021-DEMOCRACY-01-04

Dr Mădălina Dobrescu, NTNU
info@redemos.eu

redemos.eu @REDEMOS_eu REDEMOS Horizon Europe Project